ხელშეკრულება 1/18-828
10.33/10/109

ქ. თბილისი 13.07.2018

ერთის მხრივ, შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი", წარმოდგენილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სამსახურის უფროსის ზურაბ გვენცაძის სახით (ბრძანება №01953. 30/09/2015), (შემდგომში წოდებული როგორც „მიმწოდებელი") და მეორეს მხრივ, "ისნის რაიონის გამგეობა", გამგებლის კახაბერი ლაბუჩიძის სახით (შემდგომში წოდებული როგორც „მიმწოდებელი"), საქართველოში მოქმედი კანონების და საწარმოს დებულების შესაბამისად, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მიმწოდებელი შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე ახორციელებს გასანადგურებლად შერჩეული დოკუმენტების შეტანა-განადგურების მომსახურებას ქ. თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე (შემდგომში "მომსახურება");

1.2 **CPV** კოდი 90513000

მუხლი 2. ხელშეკრულების პირობები

2.1 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად მოემსახუროს შემსყიდველს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

2.2 შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და განსაზღვრული პირობებით გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

3.1.1 დროულად და ხარისხიანად განახორციელოს 1.1 მუხლში აღნიშნული მომსახურება.

3.2 მიმწოდებელს უფლება აქვს:

3.2.1 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შემსყიდველისგან მოთხოვოს მომსახურების ღირებულების დროულად გადახდა.

3.2.2 შემსყიდველისაგან მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.

3.3 შემსყიდველი ვალდებულია:

3.3.1 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება.

3.4 შემსყიდველს უფლება აქვს:

3.4.1 მოითხოვოს მიმწოდებლისგან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.

3.4.2 მხარეები ვალდებულნი არიან დროულად და ჯეროვნად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 4. ანგარიშსწორება და ხელშეკრულების ღირებულება

4.1. გასაწევი მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

4.2 1 ტონა პროდუქციის განადგურება-გაუვნებელყოფის მომსახურების ღირებულება შეადგენს 23.26 ლარს დღგ-ს ჩათვლით. თუ დადგინდება, რომ გასანადგურებელი-გაუვნებელყოფას დაქვემდებარებული საქონლის წონა შეადგენს 1 ტონაზე ნაკლებს, დამკვეთი იხდის 1 ტონის მომსახურების საფასურს.

4.3. შემსყიდველი ვალდებულია ჩარიცხოს თანხა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში.

4.4. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემდეგ მხარეები ადგენენ სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტს, რაც ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

5.2 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებთ ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესასრულებელი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან.

მუხლი 6. სადავო საკითხების მოგვარება

6.1 შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წინამდებარე ხელშეკრულების რეალიზაციისას წარმოშობილი სადავო საკითხები წესრიგდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხს განიხილავს სასამართლო.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა მუხლი და დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, რომელიც უნდა იყოს წერილობითი. ზეპირ გარიგებებს ძალა არა აქვთ.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა დამკვეთს, ხოლო ორი ეგზემპლარი ინახება შემსრულებელთან

საბანკო რეკვიზიტები:

მიმწოდებელი
შ.პ.ს "თბილსერვის ჯგუფი"
მის: ქ. თბილისი, კახეთის
გზატკეცილი №67
საიდ. კოდი: 206267494
ს.ს "ლიბერთი ბანკი" ცენტრალური ფილიალი,
ბანკის კოდი LBRTGE22
ა.ა. № GE90LB0113172770216000

შემსყიდველი
„ისნის რაიონის გამგეობა"
მის: ნავთლუღის ქ 8_1
ს/კ: 208204959
ხაზინის ერთიანი ანგარიში
TRESGE22

შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი"
საყოფაცხოვრებო ნარჩენების
მართვის სამსახურის
უფროსი ზ.გვენცაძე

„ისნის რაიონის გამგეობა"

გამგებელი
კ. ლაბუჩიძე

ქ. თბილისი 13 ივლისი 2018 წ.

„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა საყოფაცხოვრებო ნარჩენების განადგურება-დამარხვის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების განადგურება-დამარხვის მომსახურების შესყიდვაზე, 2018 წლის 13 ივლისს გაფორმებული №10.33/10/109 ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირი:

გამგეობის უფროსი სპეციალისტი: ლიანა კენჭოშვილი